პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
31
ოქტომბერი
1936 წ.
№ 253 (4752)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- ინტერნაციონალური სოლიდარობა (მეთაური).
- კომუნიკე ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის სხდომის შესახებ.
- ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეთა თაოსნობა
- ალექსანდრე ქუთათელი — ბრძოლა (ლექსი).

ინტერნაციონალური სოლიდარობა!

XVII პარტიულ ყრილობაზე ხალხთა ბელადი დიდი სტალინი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის შესახებ ამბობდა:

„ეკონომიურ დარგში ეს წლები წარმოადგენდნენ კვლავ მიმდინარე მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წლებს. კრიზისმა მოიცვა არა მარტო მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც მთლიანად".

სოციალ-ფაშისტების კაუცკის, ჰილფერდინგის, ოტო ბაუერის და ბურჟუაზიის სხვა „სწავლულ" ლაქიების ოპორტუნისტული „თეორია" კაპიტალიზმის სტაბილიზაციის და ორგანიზებული კაპიტალიზმის შესახებ რომ ზღაპარია, კაპიტალიზმის მთელმა პრაქტიკამ ნათელჰყო. სასტიკად დამარცხდა „თეორია", თითქოს 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომი უკანასკნელი იმპერიალისტური ომი ყოფილიყო.

იაპონიის ომი ჩინეთთან, მანჯურიის ოკუპაცია, იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა, ფაშისტური გერმანიის და მთელი მსოფლიოს ფაშიზმის გაფთრებული მზადება ახალ ომისათვის, ფაშიზმის ბრძოლა რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ — ასეთია თანამედროვე საერთაშორისო ვითარება.

მშრომელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანები გმირულად იბრძვიან კაპიტალის შემოტევის, ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ. რევოლუციური ბრძოლა ჩინეთში, ესპანეთში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში თვალნათლივ ადასტურებს კომუნისტური ინტერნაციონალის დებულებას იმის შესახებ, რომ უკვე შევედით რევოლუციებისა და ომების ახალ ტურში.

კაცობრიობის მოწინავე ადამიანები, სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი რევოლუციონერები ათასობით იტანჯებიან, ილპებიან კაპიტალისტური ქვეყნების საპყრობილეებში. მაგრამ სისხლიანი ფაშიზმი ვერ შეაჩერებს მსოფლიო კომუნიზმის წინსვლას! კომუნიზმის დროშის ქვეშ თავს იყრიან რევოლუციურ ძალთა ახალ-ახალი რაზმები.

კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდება ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნის შესახებ საფრანგეთსა და ესპანეთში უკვე ხორცშესხმულია. მეოთხე თვეა ერთიანი სახალხო ფრონტის დროშის ქვეშ გაერთიანებული ესპანეთის ხალხი გმირულად ებრძვის ესპანეთის, გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის ფაშიზმს.

ჩვენს ქვეყანაში ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილია კაპიტალიზმი, მოსპობილია ექსპლოატატორული კლასები და მათი წარმომშობი მიზეზები. ძმური სოლიდარობა, კაპიტალიზმის უღელ ქვეშ მყოფ მშრომელ ხალხთან ინტერნაციონალური კავშირი ჩვენი რევოლუციური ხალხის ყურადღების ცენტრში იყო და არის მოქცეული.

ინტერნაციონალური სოლიდარობის და ძმური კავშირის ერთერთი მკაფიო გამოხატვაა რემედასი, რემედასის საშუალებით ჩვენი ქვეყნის მშრომელები მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევენ კაპიტალისტურ საპყრობილეებში გამომწყვდეულ კლასობრივ ძმებს, ბურჟუაზიის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთ და მათ ოჯახებს. მაგრამ რემედასის ამოცანები არ განისაზღვრება ამით. რემედასი ამავე დროს წარმოადგენს ინტერნაციონალურ აღმზრდელობითს მასობრივ ორგანიზაციას.

რემედასის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა, ფართო ასპარეზი და გასაქანი აქვს განსაკუთრებით ახლა, კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალი იმპერიალისტური ომების მზადების, სისხლიანი ფაშიზმის გაშმაგებული შემოტევის და მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლის განვითარების პირობებში. რემედასის რიგებიც დღითი-დღე იზრდებიან. არა მარტო ქალაქად, სოფლადაც ფართოდ იშლება რემედასის ქსელი.

საქართველოს რემედასის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ გაამართლა თავისი საპატიო მოვალეობა, ვერ ჩაუდგა სათავეში ამ დიად ინტერნაციონალური სოლიდარობის მოძრაობას და ვერ გაშალა ძირეული ორგანიზაციების მასობრივი მუშაობა. რემედასის ორგანიზაციებში მოკალათებულმა უცხო ელემენტებმა ხელი მიჰყვეს შეგროვილი თანხების გაფლანგვას და განიავებას. თითქმის სრულებით დაიშალა საქართველოს რემედასის ორგანიზაციები.

რემედასს პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ, ისინი ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ინტერნაციონალური სოლიდარობის ამ იარაღს, უცხო ელემენტები სარგებლობდნენ ამით და რემედასი დაშლის გზით მიჰყავდათ. მომავალში ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ რემედასის მუშაობის გაუმჯობესება მათი ერთ-ერთი მეტად სერიოზული ამოცანაა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა რემედასის მუშაობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 11 აპრილის დადგენილების საფუძველზე ბევრგან პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ რემედასის ორგანიზაციების მუშაობას, განამტკიცეს ისინი მუშაკებით, უფრო კონკრეტულად ხელმძღვანელობენ მათ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი როდია. ბევრგან ვხვდებით რემედასის ორგანიზაციების შეუფასებლობას, მათი მნიშვნელობის უგულებელყოფას, რაც ყოვლად დაუშვებელია და უცხოა ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმისათვის.

10 ნოემბერს შედგება საქართველოს რემედასის ორგანიზაციების რესპუბლიკური ყრილობა. ჩვენი რევოლუციური მოვალეობაა ამ ყრილობას შევხვდეთ ღირსეულად, ისე, როგორც ეს შეჰფერის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებს.

არც ერთი მშრომელი რემედასის გარეშე!

ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეთა თაოსნობა

საკ. კ.პ.(ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტი იწონებს ვოლოსოვის რაიონის „როგატინოს", სოლეცკის რაიონის — მოლოტოვის სახელობის, ბატეცკის რაიონის — „პერელომის", „კრასნიე ზაპორი", პაშსკის რაიონის — „კრასნაია გორკის", „პროლეტარის", ჩერეპოვეცის რაიონის — „კრასნი შექსნინეცისა" და სხვა კოლმეურნეობათა თაოსნობას, რომლებმაც საბრძოლო წესით მიჰყვეს ხელი თავისი საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობას.

კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები თავისი დამოკიდებულებით მშობლიური საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობისადმი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამენ სიბრძნეს ამხანაგი სტალინის მითითებისას იმის შესახებ, რომ **„ჩვენი რევოლუციის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხალხს მისცა არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთენიც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც".**

საკ. კ.პ.(ბ) საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ლენინგრადის ოლქის ყველა კოლმეურნესა და კოლმეურნე-ქალს მხარი დაუჭირონ მთელ რიგ კოლმეურნეობათა ამ ჩინებულ თაოსნობას და როგორც წესი და რიგია შეუდგნენ კოლმეურნეობათა კეთილმოწყობისა და კულტურის საქმეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმისათვის.

საკ. კ.პ.(ბ) საოლქო კომიტეტი ავალებს საოკრუგო, რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სოფლის საბჭოებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა თაოსნობას მათი საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობაში.

საკ. კ.პ.(ბ) საოლქო კომიტეტი ურჩევს ოლქის კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს პირველ რიგში განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი: თავიანთ სოფლებში წესრიგში მოიყვანონ გზები და ხიდები, თვითეული კოლმეურნეობის შესავალთან გამოჰკიდონ აბრები, რომლებზედაც აღნიშნონ კოლმეურნეობის სახელწოდება, საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობა, გზის მიმართულება და მანძილი; სოფლის ქუჩებზე გასწმინდონ რუები, მოახდინონ ქუჩების გამწვანება, კოლმეურნეთა სახლებთან დარგონ ხეხილი, გააშენონ პატარა ბაღები და გააკეთონ მესრები. წესრიგში მოიყვანონ საკოლმეურნეო წითელი კუთხეები, სასოფლო კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, კოლმეურნეობათა გამგეობები; გასწმინდონ, გააუმჯობესონ და მორთონ კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები, ააშენონ და რემონტი გაუკეთონ აბანოებს, წესრიგში მოიყვანონ ხანძრის საწინააღმდეგო მეურნეობა, ჭები და სხვ.

საკ. კ.პ.(ბ) საოლქო კომიტეტი იწონებს აგრეთვე ქ. ლენინგრადის მთელ რიგ იმ ორგანიზაციების ინიციატივას, რომლებმაც იკისრეს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ რაიონებსა და კოლმეურნეებს კოლმეურნეობათა კეთილმოწყობისა და კულტურის საქმეში, და მოუწოდებს ლენინგრადის, აგრეთვე ოლქის საოკრუგო და სარაიონო ცენტრების პროლეტარულ, კულტურულ და სამეცნიერო ორგანიზაციებს, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას, მოაწყონ კოლმეურნეობებში გასვლა, კულტურული ძალებისა, რომელნიც წარმოადგენენ კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრებაში კულტურის დანერგვისა და კოლმეურნეობებში კულტურული მუშაობის ქალაქთა გამოცდილების გადატანის ორგანიზატორებს.

საკ. კ.პ.(ბ) ლენინგრადის
საოლქო კომიტეტის მდივანი:
ჟდანოვი.

ლენინგრადი, 26 ოქტომბერი.

* * *

გეგმა შესრულებულია

1936 წლის მოსავლის ყურძნისგან მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინის მასალის დამზადების გეგმა შესრულდა ვადაზე ადრე — 25 ოქტომბრისათვის, დამზადებულია 122.000 დეკალიტრი, ნაცვლად 108.000 დეკალიტრისა. გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით.

სამტრესტის მმართველი ს. ქუხალეიშვილი.

კ ო მ უ ნ ი კ ე

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის სხდომის შესახებ

ლონდონი, 29 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ლონდონში გამოქვეყნდა კომუნიკე ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის გუშინ შემდგარი მე-8 სხდომის შესახებ.

როგორც კომუნიკე იუწყება, სხდომა დაიწყო იმით, რომ დამტკიცებულ იქნა თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის წინადადებანი, რათა მომავალში, როგორც კომიტეტისა, ისე ქვეკომისიის სხდომათა. შემდეგ გამოიცეს ხოლმე საინფორმაციო კომუნიკე და რათა განსაკუთრებულ შემთხვევებში კომუნიკეს დაერთოს ხოლმე ცალკეული დელეგატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტთა ან დეკლარაციათა სრული ტექსტები.

შემდეგ კომიტეტმა განაახლა განხილვა სსრ კავშირის წარმომადგენლის წინადადებისა (რომელიც კომიტეტის თავმჯდომარეს 23 ოქტომბერს გაეგზავნა) შეთანხმების მიმართ სსრ კავშირის პოზიციის საკითხზე. ამ განცხადებას იხილავდნენ კომიტეტის წინა სხდომაზე. სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაისკი სხდომაზე გამოვიდა ახსნა-განმარტებით, რომლის სრული ტექსტი დართული აქვს კომუნიკეს.

პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა: პორტუგალიის მთავრობას არ შეუძლიან დასთანხმდეს, არც იმას, რომ განხილულ იქნას წინადადება პორტუგალიის ნავსადგურებზე კონტროლის დაწესების შესახებ, რაზედაც სსრ კავშირის წარმომადგენელმა ილაპარაკა, არც იმას, რომ კომიტეტში განიხილონ პორტუგალიის მთავრობისა და მადრიდის მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი.

იტალიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ მოცემული ახსნა-განმარტება ვერ სპობს 23 ოქტომბრის განცხადების ბუნდოვანებას და რომ იმ ბუნდოვანმა ოპოზიციამ, რომელსაც სსრ კავშირი ამ განცხადებაში დაადგა, მეტად სერიოზული გავლენა მოახდინა კომიტეტის მუშაობაზე. პორტუგალიის წარმომადგენლის განცხადებით, სსრ კავშირი, თუმცა ეთანხმება იმას, რომ მხოლოდ თვითონ კომიტეტია უფლებამოსილი განსაჯოს — ნამდვილად სრულდება თუ არა შეთანხმება, მაინც ამტკიცებს, რომ ეს შესრულება დამოკიდებულია კომიტეტის მიერ ქმედი ზომების მიღებაზე. ამგვარი პირობა კვლავ ეჭვს ქვეშ აყენებს საკითხს, შეზღუდული რჩება თუ არა სსრ კავშირი ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმებით.

იტალიის წარმომადგენელმა შემდეგ განაცხადა, რომ თავმჯდომარის წინადადებას ესპანეთში კონტროლის სისტემის დაწესების შესახებ იტალიის მთავრობა უაღრესად სერიოზული ყურადღებით შეხედა.

დასასრულ იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა: ამა თუ იმ წინადადების განხილვამდე „აუცილებელია ზუსტად დაწესდეს, რომ შეთანხმება ჯერ კიდევ არსებობს სწორედ იმ ფორმით, როგორც იგი დადებული იყო, და სწორედ იმ პირობათა საფუძველზე, რომლებიც თავდაპირველად დაწესებული იყო. შეუწყნარებელია, რომ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფო მონაწილეობას იღებდეს კომიტეტის სხდომებში და აცხადებდეს განხილვის და, შესაძლოა, ბრალის დადების უფლებასაც კი, სხვა წევრებთან თანაბარ საფუძველზე, და ამავე დროს უარს ამბობდეს სცნოს იგივე ვალდებულებანი".

სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების დასკვნითი ნაწილის გამო ლორდმა პლიმუტმა განაცხადა: ნამდვილად ჩემი წინადადება მდგომარეობდა იმაში, რომ „ორივე მხარის თანხმობით, გამოყოფილიყო ესპანეთში იმ პირთა მიუდგომელი ჯგუფი, რომელნიც იქნებოდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე ამ ქვეყანაში მისაწვდომ (ზღვიდან და ხმელეთიდან) მთავარ პუნქტებში და რომლებსაც დაკისრებული ექნებოდათ ამოცანა — მოეხსენებინათ, როცა ამას კომიტეტი მოითხოვდა, ყოველგვარი საყურადღებო შემთხვევა".

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, ჩემს განმარტებაში გაერთიანებული იყო საბჭოთა თავდაპირველი წინადადება პორტუგალიის შესახებ და თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მერმინდელი წინადადებაო.

გერმანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის, ისე როგორც, ალბათ, ყველა სხვა დელეგატისთვის, აუცილებელი იქნება აცნობოს თავის მთავრობას სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი განმარტება. მისი პირადი აზრით, ეს განცხადება დამაკმაყოფილებლად ვერ განმარტავს საკითხს, ჯერ ისევ სთვლის თუ არა სსრ კავშირი თავის თავს ნამდვილად შეზღუდულად ჩაურევლობის შეთანხმების კონკრეტული ვალდებულებებით, თუ სსრ კავშირმა თვითონ განთავისუფლა თავი ამ ვალდებულებებისაგან.

ლორდმა პლიმუტმა განაცხადა: მოვისმინე რა განმარტება, რომლითაც სსრ კავშირის წარმომადგენელი ეს ეს არის გამოვიდა, მე მაინც ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის პოზიცია ბუნდოვანია. სთვლის თუ არა სსრ კავშირი თავის თავს, იკითხა ლორდ პლიმუტმა, — ისევ შეზღუდულად შეთანხმებით და, თუ სსრ კავშირი დარწმუნებულია, რომ აჯანყებულთ ესპანეთში წინანდებურად საომარ მასალას უგზავნიან, მაშინ აპირებს თუ არა სსრ კავშირი თავისუფლად ჩასთვალოს თავი საკუთარი ვალდებულებებისაგან?

ლორდმა პლიმუტმა შემდეგ მოუწოდა კომიტეტს ხელი შეეწყოს ახლანდელ სიძნელეთა დაძლევას და ამგვარად უზრუნველჰყოს შეთანხმების შემდგომი არსებობა.

იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მზად არის განიხილოს დღისწესრიგის შემდეგი პუნქტი (რომელიც ეხება საჩივრებს იტალიის მიმართ) კომიტეტის ყველა წევრთან ერთად, იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც თავის თავს სთვლიან შეზღუდულად შეთანხმების ვალდებულებებით იმდენადვე, რამდენადაც იტალია სთვლისო.

პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა, საბჭოთა ელჩის დასწრება კომიტეტის სხდომაზე მიმაჩნია იმის საბუთად, რომ სსრ კავშირი ჯერ ისევ შეზღუდულად სთვლის თავს ჩაურევლობის შეთანხმებითო.

ლორდმა პლიმუტმა იმედი გამოსთქვა, რომ მის წინადადებას კონტროლის სისტემის დაწესების შესახებ უმოკლეს ვადაში დამატებით შეისწავლის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისია.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მთლიანად ინარჩუნებს თავის პოზიციას ჩაურევლობის შეთანხმების მიმართ. საფრანგეთის მთავრობა გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს, რათა უზრუნველჰყოს იმ შეთანხმების ნამდვილი გამოყენება, რომელიც დაიდო საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით, მთავრობისა, რომელიც ევროპის მშვიდობიანობის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. საფრანგეთის მთავრობა მზად არის განიხილოს კონტროლის დაწესების ყოველგვარი პრაქტიკული გეგმა, რომელიც კი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, და მონაწილეობას მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებაში, რომელიც კი მოწონებული იქნება შეთანხმების მონაწილე ყველა მთავრობის მიერ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განცხადებას, რომლითაც იგი გამოვიდა, სავსებით გარკვეული ხასიათი ჰქონდა და რომ, მისი აზრით, მდგომარეობა ახლა ნათელია.

იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ამ თვალსაზრისს არ იზიარებს.

კომიტეტმა ცნობად მიიღო ზემოაღნიშნული შენიშვნები, რომლებითაც ინგლისის, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა შეთანხმების იმ ზოგიერთი დარღვევის მითითებათა განხილვაზე, რომლებსაც იტალიას მიაწერენ. ეს მითითებანი კომიტეტს წარუდგინა ინგლისის მთავრობამ, რომელმაც ისინი ესპანეთის მთავრობისაგან მიიღო.

იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩემი მთავრობა ფრიად კატეგორიულად უარჰყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებასო.

შემდეგ იტალიის პასუხის კრიტიკით გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაისკი.

მას შემდეგ, რაც კომიტეტმა მუხლობრივად განიხილა იტალიისათვის წაყენებული თვითეული კონკრეტული ბრალდება, თავმჯდომარემ კომიტეტის წევრებს მოაგონა, რომ განხილული ბრალდებანი წარმოდგენილ იქნა პროცედურის წესების შესაბამისად. თავმჯდომარემ აღნიშნა, ჩემი აზრით, დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ დარღვევის ნავარაუდევ შემთხვევათა შესახებ აღნიშნავენ — ეს შემთხვევები ან მანამდე მოხდა, სანამ იტალია შეთანხმებას შეუერთდებოდა, ან საერთოდ მათ ადგილი სულ არ ჰქონიათო, — კომიტეტს არ მოეპოვება იტალიის მთავრობის მიერ შეთანხმების დარღვევის დამამტკიცებელი საბუთები.

კომიტეტმა, სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოკლებით, რომელიც დაჟინებით აღნიშნავდა, იტალიის პასუხი არადამაკმაყოფილებელიაო, — მოიწონა თავმჯდომარის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი.

შემდეგ კომიტეტი შეუდგა მითითებათა განხილვას პორტუგალიის მიერ შეთანხმების დარღვევის შესახებ. ეს მითითებანი წარმოდგენილ იქნა ინგლისის მთავრობის მიერ, რომელმაც ისინი ესპანეთის მთავრობისაგან მიიღო.

პორტუგალიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩემი მთავრობის პასუხი იმდენად სრული და დაწვრილებითი იყო, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია მას რაიმე დავუმატოო.

კომიტეტმა დეტალურად განიხილა პორტუგალიის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი. განხილვის დამთავრებისას თავმჯდომარემ ისევ მოაგონა კომიტეტის წევრებს, რომ მათ განიხილეს შეთანხმების დარღვევის კონკრეტული მითითებები, რომლებიც წარმოდგენილი იყო პროცედურის წესთა თანახმად. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმავე მოსაზრებების გამო, რომლებიც მან იტალიის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ გამოსთქვა, აგრეთვე იმიტომ, რომ ზოგიერთი ნავარაუდევი ფაქტი, თუნდაც დამტკიცებული იყოს, შეთანხმების დარღვევას არ წარმოადგენს, — იგი სთვლის, რომ კომიტეტს არ მიუღია არავითარი საბუთი, რომელიც პორტუგალიის მთავრობის მიერ შეთანხმების დარღვევას ამტკიცებდესო.

კომიტეტმა, სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოკლებით, რომელმაც განაცხადა, პორტუგალიის პასუხი არადამაკმაყოფილებელიაო, მოიწონა თავმჯდომარის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი.

შემდეგ კომიტეტი შეუდგა პორტუგალიის მიერ შეთანხმების ზოგიერთი ნავარაუდევი დარღვევის შესახებ სსრ კავშირის წარმომადგენლის მითითებათა და პორტუგალიის მთავრობის პასუხის განხილვას. პორტუგალიის წარმომადგენელმა განაცხადა: არავითარი შენიშვნა არა მაქვს წარმოსადგენი, გარდა შენიშვნისა ერთი დეტალის გამო, რასაც შემდგომი განხილვის დროს გამოვთქვამო.

ს.ს.რ. კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაისკი გამოვიდა პორტუგალიის საპასუხო ნოტის ამომწურავი კრიტიკით.

კომიტეტი შემდეგ შეუდგა წაყენებულ ბრალდებებზე პორტუგალიის მთავრობის პასუხის მუხლობრივ შესწავლას.

ამ პასუხთა შესწავლის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: იმავე მოსაზრებებით, რომლებიც იტალიისა და პორტუგალიისათვის წაყენებულ და სხდომაზე უკვე განხილულ ბრალდებათა გამო გამოვთქვი, მიმაჩნია, რომ კომიტეტს არ მიუღია არავითარი საბუთი, რომელიც პორტუგალიის მთავრობის მიერ შეთანხმების დარღვევას ამტკიცებდეს.

კომიტეტმა, სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოკლებით, რომელიც დაბეჯითებით აღნიშნავდა, პორტუგალიის პასუხი დამაკმაყოფილებელი არ არისო, მოიწონა თავმჯდომარის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი.

კომიტეტმა გადასწყვიტა, შემდეგ სხდომამდე გადასდოს განხილვა სსრ კავშირის პასუხისა იმ განცხადებებზე, რომლებიც წარმოადგინეს გერმანიისა და იტალიის მთავრობებმა შეთანხმების ზოგიერთი ნავარაუდევი დარღვევის შესახებ, რადგან სსრ კავშირის პასუხი კომიტეტის წევრებს მხოლოდ დილით დაეგზავნა.

კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ იტალიის წარმომადგენლის 26 ოქტომბრის პასუხი, რომელიც შეიცავს მითითებას შეთანხმების 20 დამატებითი დარღვევის შემთხვევის შესახებ, თავმჯდომარემ აცნობა სსრ კავშირის წარმომადგენელს და სთხოვა მას — წარმოედგინა ახსნა-განმარტება, რომელიც შესაძლოა აუცილებელი აღმოჩნდეს ფაქტების დასადგენად.

თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის შემდეგი სხდომა შესდგება 2 ნოემბერს. კომიტეტის შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება 4 ნოემბერს.

კომუნიკეს დართული აქვს დღისწესრიგის მე-2 პუნქტის გამო სსრ კავშირის წარმომადგენლის შემდეგი განმარტების ტექსტი:

ამხანაგ მაისკის განმარტება

„საბჭოთა მთავრობა ჩაურევლობის დეკლარაციას შეუერთდა იმ ვარაუდით, რომ შეთანხმების ყველა მონაწილეს თანაბარი ვალდებულება ეკისრებოდა. ვალდებულებათა დარღვევა, შეთანხმების თუნდაც ერთი მონაწილის მიერ, ათავისუფლებს ვალდებულებებისაგან დანარჩენებსაც.

საბჭოთა მთავრობა, ისე როგორც ალბათ, მთელი მსოფლიოც, მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ უკვე დადებული შეთანხმების შემდეგ, მთავრობანი, რომელნიც თანაუგრძნობენ ესპანეთის მეამბოხე გენერლების მიზნებსა და ამოცანებს, განაგრძობდნენ იმათ უხვად მომარაგებას სამხედრო ავიაციით, ტანკებით, არტილერიით, ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, ვაზნებითა და სხვა საომარი მასალით. კომიტეტის მუშაობამ საბჭოთა მთავრობა დაარწმუნა, რომ ამჟამად არ არსებობს არავითარი გარანტია საომარი მასალით მეამბოხე გენერლების შემდგომი მომარაგების წინააღმდეგ.

ასეთ გარემოებაში საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი გარანტიების შექმნამდე და ჩაურევლობის ვალდებულებათა სასტიკად შესრულების ნამდვილი კონტროლის განხორციელებამდე, იმ მთავრობებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ესპანეთის კანონიერი მთავრობის მომარაგება შეეფერება საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო სამართლიანობის ნორმებს, მორალურად უფლება აქვთ არ ჩასთვალონ თავი შეთანხმებით შეზღუდულად იმაზე უფრო მეტად, ვიდრე იმ მთავრობებს, რომელნიც, შეთანხმების წინააღმდეგ, მეამბოხეებს ამარაგებენ. ასეთია სსრ კავშირის წარმომადგენლის 23 ოქტომბრის განცხადების დასკვნითი ნაწილის აზრი. სხვა მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა დაწესდება შეთანხმების მონაწილე ყველა მთავრობის მხრივ ჩაურევლობის ვალდებულებათა შესრულების ქმედი კონტროლი.

ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება პორტუგალიის ნავსადგურების კონტროლის შესახებ და მზად არის განიხილოს ამავე გზით მიმართული წინადადება კომიტეტის თავმჯდომარის ლორდ პლიმუტისა, რომ, გარდა ამ კონტროლისა პორტუგალიაში, დაწესდეს აგრეთვე კონტროლი ესპანეთის ნავსადგურებში და ესპანეთის სახმელეთო საზღვრების გასწვრივ. საბჭოთა მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ დაწესდეს კონტროლი აგრეთვე მეამბოხეთა მიერ დაპყრობილ ნავსადგურებში და სასაზღვრო პუნქტებში. იმ პირობით, თუ ამას ესპანეთის კანონიერი მთავრობა დასთანხმდება.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ წინადადების განხილვას" (ტასსი).

რესპუბლიკური ესპანეთის ფლოტის მეზღვაური. („სოიუზფოტო").

◇ ◇ ◇

დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ამხანაგ მაისკის სიტყვა

პორტუგალიის პასუხის გამო

ლონდონი, 29 ოქტომბერი. ჩაურევლობის კომიტეტის სხდომაზე 28 ოქტომბერს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიდ ბრიტანეთში ამხ. მაისკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა პორტუგალიის იმ პასუხის გამო, რომელიც მან გასცა ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევის ბრალდებებზე.

„პორტუგალიის მთავრობის 24 ოქტომბრის ნოტა, რომელსაც იგი იძლევა პასუხად ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევის იმ ბრალდებებზე, საბჭოთა მთავრობამ რომ წაუყენა მას, ჭეშმარიტად ფენომენალურ დიპლომატიურ დოკუმენტს წარმოადგენს.

ჯერ ერთი, ამ ნოტას შეუძლიან სასოწარკვეთილს ყველას თავისი ოდენობით: მანქანაზე წვრილად დაწერილი 14 გვერდი. თუ ამას კიდევ დავძენთ, რომ ერთსადაიმავე დროს პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პორტუგალიის მთავრობისათვის წაყენებული ბრალდების საპასუხოდ კომიტეტს წარუდგინა მეორე ნოტა, რომელიც შეიცავს წვრილი შრიფტით დაწერილ 46 გვერდს, — არც მეტს და არც ნაკლებს, მე ვფიქრობ, ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ პორტუგალიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ჩაიდინა სიზიფის საკადრისი ლიტერატურული და დიპლომატიური „გმირობა".

ამხ. მაისკი.

მეორე, — ეს ნოტა უეჭველად მოწმობს პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის დიდ სიბეჯითეს. მიუხედავად თავისი მრავალრიცხოვანი, დიდად რთული და მნიშვნელოვანი მოვალეობებისა, მან გამონახა დრო და საშუალება შეედგინა ესოდენ ვრცელი და ესოდენ „შემაძრწუნებელი" ნაწარმოები, რომელიც ძალიან მოგვაგონებს პროვინციელი ტრაგიკოსის მონოლოგს ძველებურ მელოდრამაში, მაგრამ, სადაც მთავარ ბოროტმოქმედის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. ესეცაა, მდგომარეობის შეფასების დროს, საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ, რომ პორტუგალიის ხშირად არ ხვდება ხოლმე პატივი გამოჩნდეს დიდ საერთაშორისო ასპარეზზე და ამიტომ, ადამიანიშვილები ვართ და უნდა გავუგოთ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის სურვილი უკიდურეს საზღვრებამდე გამოიყენოს ის შემთხვევა, რომელიც მას ესოდენ ბედნიერად მიეცა.

მაგრამ, თუ ჩვენ ამგვარად შეგვიძლიან კარგი ნიშანი დავუსვათ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრს მუყაითობისათვის, სამაგიეროდ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლიან დავუსვათ მას ასეთივე ნიშანი მისი თხზულების შინაარსისათვის. ნოტა იყოფა ორ არათანაბარ ნაწილად. ერთი, უფრო ნაკლები ნაწილი, შეეხება მსჯელობის საგანს და შეიცავს პორტუგალიის პასუხს საბჭოთა კავშირის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე.

მე არ მინდა ვთქვა, რომ პორტუგალიის პასუხი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნოტის ამ ნაწილს რაღაც დამოკიდებულება მაინცა აქვს საკითხთან, რომელსაც ვარჩევთ. სამაგიეროდ ნოტის მეორე და ყველაზე ვრცელ ნაწილს აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო არც ჩაურევლობის შესახებ დადებულ შეთანხმებასთან, არც ამ შეთანხმების დარღვევასთან. იგი პირდაპირ წარმოადგენს შიშისაგან გულგახეთქილი პროვინციელი ობივატელის კოშმარულ სიტყვათა კრებულს".

შემდეგ, შეუდგა რა პორტუგალიის პასუხის ცალკეულ პუნქტთა განხილვას იმ კონკრეტულ ბრალდებებზე, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ პორტუგალიას წაუყენა, და აღნიშნა რა, რომ პორტუგალიის მთავრობისათვის სრულიად შეუძლებელია ამ ბრალდებათა უარყოფა, ამხ. მაისკიმ განაცხადა:

„ნოტის პირველი ნაწილი სრულიად არადამაკმაყოფილებელია. იგი ოდნავადაც ვერ უარჰყოფს ვერც ერთ იმ ბრალდებას, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ პორტუგალიის მთავრობის წინააღმდეგ წამოაყენა. მაგრამ თუ ნოტის პირველი ნაწილი არადამაკმაყოფილებელია, მაშინ რაღა ითქმის მეორე ნაწილზე? ნოტის მეორე ნაწილი პირდაპირ სასაცილოა.

პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ძალიან მარტივად მოიქცა: თანამედროვე ევროპის ყველა ფაშისტური წუმპიდან მან გულმოდგინედ შეაგროვა ყველაზე ველური და ყველაზე ცილისმწამებელი ანტისაბჭოთა ჭორები, შეაზავა ისინი თავისი საკუთარი ფანტაზიის კარგად მოზრდილი დოზით და შემდეგ ჭუჭყიანი ყალმით დახატა კედელზე სახე მრისხანე „ბოლშევიკური ეშმაკისა", რასაკვირველია, რქებითა და ჩლიქებით იმ ანგარიშით, რომ ძირისძირობამდე შეერყია პორტუგალიელი და სხვა ობივატელების სული.

პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიდისამბით აცხადებს, რომ „სსრ კავშირის ოცნებას შეადგენს ევროპაზე ბატონობა". თავისი გეგმების რეალიზაციის მიზნით მოსკოვს სურს გადააქციოს ესპანეთი კომუნისტურ რესპუბლიკად, ხოლო ყველაზე მეტად სურს...—თქვენ როგორ გგონიათ, რა სურს?...—თავს დაესხას პორტუგალიას. პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის სავსებით ზუსტი ინფორმაციით, საბჭოთა მთავრობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე ომი გამოუცხადოს პორტუგალიას.

თავისი მტკიცების დასადასტურებლად პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოჰყავს უაღრესად ფანტასტიკურ უაზრობათა გრძელი სია. ვითომც უკვე მიმდინარე წლის მარტში ესპანეთს ჩავიდნენ „მრისხანე" რევოლუციონერები—ბელა კუნი, ლოზოვსკი, ბერზინი და სხვები, ვითომც, საბჭოთა გემებმა „ნევამ" და „ტერეკმა" აგრეთვე მარტში მია-

დასასრული იხ. მე-2 გვერდზე.

ამხ. მაისკის სიტყვის დასასრული

ტანეს ესპანეთში დიდძალი იარაღი, ვითომც, ამას გარდა გემმა „ნევამ" მიიტანა დიდძალი „ქიმიური პროდუქტები საჭმლისა და წყლის მოსაწამლავად", ვითომც ცოტა უფრო გვიან მადრიდში გამოჩნდა საბჭოთა ელჩი როზენბერგი, რომელსაც თან ახლდა შტატი... 140 კაცის რაოდენობით, ვითომც საბჭოთა მთავრობამ მიაწოდა ესპანეთს 100-ზე მეტი თვითმფრინავი და მფრინავთა, ტექნიკოსთა, მეთაურთა და სხვათა დიდი რაოდენობა.

არა მგონია ჩემთვის აუცილებელი იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა ეს „გულგასაგმირი" ისტორია წარმოადგენს ბოროტ ჭორს, გარდა მხოლოდ იმ ფაქტისა, რომ აგვისტოს დამლევს საბჭოთა ელჩი როზენბერგი ნამდვილად ჩავიდა მადრიდში რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით. მაგრამ ზემოთ მოყვანილი უაზრობა ტიპიურია ნოტის ამ ნაწილისათვის. ასეთ ანტისაბჭოთა „სენსაციებს" იქნებ შეუძლიათ თავზარი დასცენ პორტუგალიელ ობივატელებს. მაგრამ ეს სენსაციები ფრიად გულუბრყვილო და უაზროა, რომ სარწმუნოდ მიიღონ ისინი რომელიმე სხვა ნაკლებად მიყრუებულ ადგილებში.

და ყოველივე ამის შემდეგ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ფეხის ფრჩხილებზე დამდგარა და რომელსაც ეშინიან თავისი საკუთარი კადნიერებისა, აკანკალებული ხმით გაიძახის: „პორტუგალიის მთავრობას არასოდეს არ უცვნია ბოლშევიკური მთავრობის კანონიერება, არასოდეს არ ჰქონია და არც სურს ჰქონდეს მასთან რაიმე ურთიერთობა".

თუმცა მე, როგორც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი, მთლად თავზარდაცემული ვარ ამ მრისხანე დეკლარაციით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები რამდენიმე სიტყვით დავახასიათო ის მთავარი მიზეზი, რომელიც აიძულებს საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კავშირის ხალხებს ასეთი დიდი ინტერესით მოეკიდონ ესპანეთის საქმეებს.

ამჟამად სხვადასხვა წრეებში არსებობს ტენდენცია, რამაც სხვათა შორის, თავისი გამოხატულება ჰპოვა პორტუგალიის ამ შესანიშნავ ნოტაშიც, რომელსაც სამართლიანად [illegible] როს „პენჩის" (ინგლისის იუმორისტული ჟურნალი) ფურცლებზე. ეს ტენდენცია მდგომარეობს მისწრაფებაში—ისე მოგვაჩვენონ საქმე, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობს გადააქციოს ესპანეთი კომუნისტურ რესპუბლიკად. ამ ეჭვებს საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სრულიად ბუნებრივი სიმპატიით უყურებენ სახალხო ფრონტის ძალებს, რომლებიც ახლა გმირულ ომს აწარმოებენ ესპანეთში. ამისათვის ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ბოდიში მოვიხადოთ.

მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია. საბჭოთა კავშირის ხალხები სცნობენ, რომ ამჟამად ესპანეთში მიმდინარეობს უაღრესად სერიოზული ჭიდილი მშვიდობიანობის ძალებსა და ომის ძალებს შორის. ესპანეთის მთავრობა ანსახიერებს მშვიდობიანობის ძალებს, მეამბოხე გენერლები ომის ძალებს.

თუ, ბოლოსდაბოლოს, ესპანეთის მთავრობა შესძლებს ამბოხების ჩაქრობას, ეს არა მარტო შეგვინარჩუნებს კიდევ ერთ ქვეყანას მშვიდობიანობის მომხრეთა ბანაკში. ეს აგრეთვე ღრმა გავლენას მოახდენს ევროპის მთელ მდგომარეობაზე, ყველგან განამტკიცებს რწმენას დემოკრატიის ძალებისადმი და საერთაშორისო პრობლემათა მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობისადმი. ამ შემთხვევაში ომის საფრთხე, რომელიც ამჟამად ასე შავღრუბლად ჩამოწოლილია ჰორიზონტზე, საგრძნობლად შესუსტდებოდა და ევროპის პოლიტიკური ცა ძალიან მოიწმინდებოდა.

მაგრამ თუ, პირიქით, გამარჯვება წილად ხვდებათ მეამბოხე გენერლებს, რომლებსაც, ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების მიუხედავად, მხარს უჭერს ზოგიერთი სახელმწიფო, მაშინ შინაური კატასტროფისაგან მარტო ესპანეთი როდი ნახავდა უდიდეს ზარალს. ევროპის მთელი ვითარება ფრიად მოლუშული გახდებოდა. ვინაიდან მეამბოხე გენერალთა გამარჯვება ესპანეთში იქნებოდა ისეთი უდიდესი ბიძგი ევროპაში აგრესიის, სიძულვილისა და ნგრევის ყველა ძალთა სათარეშოდ, რომ ახალი ომი უშუალოდ მოუახლოვდებოდა თვით ჩვენი სახლების კარებს.

აქ, და მხოლოდ აქ არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც აიძულებს საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კავშირის ხალხებს გულთან ასე ახლოს მიიტანონ ესპანეთის ახლანდელი ამბები.

მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი თანამიმდევრობით ატარებს, განსაზღვრავს ამჟამად საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას ესპანეთის საქმეებისადმი".

ამხ. მაისკის სიტყვა

იტალიის პასუხის გამო

ლონდონი, 29 ოქტომბერი. ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 28 ოქტომბერს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიდ ბრიტანეთში ამხ. მაისკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა იტალიის საპასუხო ნოტის გამო.

„იტალიის 23 ოქტომბრის ნოტა, რომელიც შეიცავს განმარტებებს ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევის იმ ბრალდებათა გამო, ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ რომ იყო წაყენებული იტალიის მთავრობის წინააღმდეგ და კომიტეტში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა რომ გაუგზავნა იტალიის მთავრობას, წარმოადგენს ისეთსავე არადამაკმაყოფილებელ დოკუმენტს, როგორც გერმანიის 21 ოქტომბრის ნოტა, რომლის გამოც მე უკვე მომიხდა გამოსვლა ჩვენს უკანასკნელ სხდომაზე. მე არ ვაპირებ ძალიან დაწვრილებით შევჩერდე იტალიის ნოტაზე, მაგრამ იმის ტიპიურ ნიმუშებად, თუ როგორ ეხმაურება იტალიის მთავრობა შეთანხმების დარღვევის ბრალდებებს, მე მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს:

იტალიის ნოტის მე-3 პარაგრაფი ეხება ესპანეთის ნავსადგურ ვიგოში იტალიური თვითმფრინავების გადმოტვირთვის ცნობილ შემთხვევას. ფაქტები ასეთია: 28 აგვისტოს, ე. ი. 7 დღის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა იტალია შეუერთდა ჩაურევლობის შეთანხმებას, იტალიის გემმა მიიტანა და გადმოტვირთა ვიგოში 24 თვითმფრინავი მეამბოხეებისათვის.

მსოფლიოს მთელმა პრესამ, მისი ყველაზე პასუხისმგებელი ორგანოების ჩათვლით, გამოაქვეყნა ეს ფაქტი. მე საკმაო საფუძველი მაქვს ვამტკიცო, რომ ზოგიერთ მთავრობას, რომლებიც ჩვენს კომიტეტში მონაწილეობენ, სწორედ ასევე ჰქონდა დაწვრილებითი ცნობები შეთანხმების ამ დარღვევის შესახებ.

მიუხედავად ამისა, იტალიის ნოტა ზიზღით უარყოფს ამ აშკარა ფაქტს და შემდეგ დასძენს: „უცხოეთის იმ გაზეთებმაც კი, რომლებმაც ეს ხმები გამოაქვეყნეს, მიუთითეს, რომ ყოველ შემთხვევაში ლაპარაკია იმ ტვირთზე, რომელმაც დასტოვა იტალია ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ ძალაში შევიდოდა ესპანეთში იარაღის შეტანის აკრძალვა". როგორც ჩანს, იტალიის მთავრობას ამ შემთხვევაში სურს ფონს გავიდეს იმ ზედმიწევნილი იურიდიული განსხვავებით რომელიც არსებობს შეთანხმების ხელმოწერის თარიღსა — 21 აგვისტოსა და იტალიაში იარაღის ექსპორტის ამკრძალველი განკარგულების გამოქვეყნების თარიღს — 28 აგვისტოს შორის. მაგრამ ეს ზედმიწევნილი განსხვავება ნაკლებად შველის საქმეს, ვინაიდან თუ იტალიის მთავრობა 21 აგვისტოს სერიოზული ზრახვებით მიემხრო ჩაურევლობის შესახებ დადებულ შეთანხმებას, მაშინ მის მორალურ მოვალეობას შეადგენდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა იარაღის მიწოდება მეამბოხე გენერლებისათვის. რა თქმა უნდა, სავსებით დასაშვებია, რომ აეროპლანებმა, რომლებზედაც ლაპარაკია, დასტოვეს იტალია ჯერ კიდევ შეთანხმების ხელმოწერამდე. მაგრამ განა იმ ქვეყანას, რომელმაც მსოფლიოს მარკონი მისცა, არ შეეძლო გამოეყენებინა მისი შესანიშნავი გამოგონება იმისათვის, რომ ეპოვნა ზღვაში ის გემი, რომელსაც თვითმფრინავები მიჰქონდა და დაებრუნებინა იგი იტალიაში? ის ფაქტი, რომ ეს არ მოხდა, სრულიადაც არ უწყობს ხელს იტალიის მთავრობის ავტორიტეტის ამაღლებას.

მეორე მაგალითი, რომელზედაც მე მინდოდა თქვენი ყურადღება მიმექცია, შეეხება იმ შემთხვევას, რომელიც იტალიის გემ „ალიკანტინოს" მოუვიდა.

ესპანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ 18 სექტემბერს, ე. ი. იტალიის მიერ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ და იარაღის ექსპორტის აკრძალვის გამოცემიდან სამი კვირის შემდეგ, იტალიის გემმა „ალიკანტინომ" რიო-მარტინში, ტეტუანის (ესპანეთის მაროკო) მახლობლად, გადმოტვირთა აეროპლანები, გაზიანი ყუმბარები და სხვა საომარი მასალა.

საუბედუროდ ესპანეთის მთავრობამ დაუშვა შეცდომა იმ კომპანიის სახელწოდებაში, რომელსაც აღნიშნული გემი ეკუთვნოდა.

მან „ტრიპკოვიჩის" ნაცვლად, იხმარა სახელი „ფიზკოვიჩი", თუმცა სავსებით სწორედ აღნიშნა სახელწოდება „ალიკანტინო", ტონაჟი 1.640 ტონა და მიწერის ნავსადგური—„ტრიესტი". კომპანიის სახელწოდებაში დაშვებული ეს მცირე შეცდომა იტალიის მთავრობისათვის ნამდვილ ზეციურ წყალობად გადაიქცა. თავისი ნოტის უკანასკნელ გვერდზე იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ არც ტრიესტში, არც იტალიის რომელიმე ქალაქში არ არსებობს სანაოსნო კომპანია, რომელიც ატარებდეს სახელს „ფიზკოვიჩი". შემდეგ ნოტა თითქმის მორალურ აღშფოთებას გამოსთქვამს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ალვარეს დელ ვაიოს მიმართ იმ „ზერელობისათვის", რომლითაც იგი თითქოს დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებს იტალიის მთავრობას. ამ ულამაზო მალაყის დახმარებით, რომელიც საეჭვოა საკადრისი იყო რომელიმე მთავრობისთვის, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, იტალიის მთავრობა, როგორც იგი, ალბათ, ფიქრობს, განთავისუფლდა იმის აუცილებლობისაგან, რომ მიეცა არასასიამოვნო განმარტება ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების უხეშად დარღვევის გამო.

იმ მომენტიდან, როცა გამოქვეყნებული იყო ესპანეთის მთავრობის დოკუმენტები, იტალიის მთავრობამ ჩაიდინა ასეთივე ხასიათის მთელი რიგი ახალი აქტები. იმ უამრავი მასალიდან, რომელიც მე ამ საკითხზე მაქვს, მოვიყვან მხოლოდ ორიოდე, ყველაზე მკვეთრ ფაქტს. ესპანეთის ლონდონელი ელჩის ცნობით, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეცა, 15 ოქტომბერს კადიქსში დაიტვირთა იტალიური წარმოშობის დიდძალი ტანკები და ცეცხლმფრქვევები, რომლებიც მეამბოხეთათვის იყო დანიშნული. აგრეთვე იტალიის თვითმფრინავთა უდიდესი რაოდენობა ითება ახლა მაიორკას კუნძულზე, რომელიც ამჟამად იტალიის რაღაც კოლონიის მსგავსად გადაიქცა, სადაც ადგილობრივ ადმინისტრაციის სათავეში უდგას იტალიელი როსი. აღნიშნული ფაქტები რომლებიც ეს-ეს არის მოვიყვანე უკამათებლად მოწმობენ, რომ იტალიის მთავრობა დღევანდლამდე განაგრძობს ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების სისტემატურად დარღვევას. ამ ფაქტთა მიხედვით, იტალიის 23 ოქტომბრის ნოტა კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს".



ტყვარჩელი. ქვანახშირის გამამდიდრებელი. ქარხანა.

ნახ. დ. ქუთათელაძისა.

ბრძოლა

ალექსანდრე ქუთათელი

დგება ფოლადის ხიშტით
ჯაგარაყრილი ღორი,
მხეცი გატენილ ქისით,
განა ერთი და ორი?

თავის საზიზღარ ზანქოს
ისევ თამაშობს ფუშე.
ხალხის ჯალათი ფრანკო
უტევს ესპანელ მუშებს.

მოაქვს „ძვირფასი" ძღვენი:
ეგ დაკლაკნილი გველი,
ეს ეშაფოტი ყუჟი:
ჯოჯო სამართლის ხატი.

ტუჩზე ადგება დუჟი,
ბღლვინავს ნადირი ხვადი
წმინდა არიულ ქშენით,
ეშხით ეშვება „შვენის".

გრგვინავს ზარბაზნის ტუჩი
უშნო, ახმახი, უნდო,
ტანკი, ჯავშანი ურჩი,
აჯანყებულთა ურდო...

და ფაშისტების ფანდით
გმინავს მშრომელი მასა,
მაგრამ დამდგარა მადრიდ
მხნე ლენინგრადის მსგავსად.

ხალხს ვინ წაართმევს შუბებს,
ხალხს ვინ დააცხრობს ზვიადს,
როცა ესპანეთს შუბლზე
უნდათ დააჭდონ ტყვია?!

მამას ძე — შვილი შველის,
ქალი ბრძოლაში მშვიდი.
ვაჟკაცს იარა შვენის,
მთას სისხლისფერი შვინდი.

— მტერმა ეს ხმალიც სინჯოს
ჰქუხს იბარური ქალი:
„გმირის ქვრივობა გვიჯობს,
ვიდრე ცოლობა მხდალის!"

ხალხის სარდალი, თავი
კაბალიერო არი...
თითქოს ეკვეთა ავი
ციხეს ათასი მავრი,

თითქო გამოჩნდა აფრით
კვლავ ჰანიბალის ნავი...
რომაელივით მძაფრი
და არაბივით შავი.

ძირს დაცემული ხევში
ადგა რაზმელი სალი,
დროშა ეჭირა ხელში,
ფარზე ეწერა: სტალინ.

ბალანსი

საქ. ადგილობრივ მრეწველობის სახკომისარიატის წარმოება „საქდიატომიტი" 1936 წლის 1-ლ იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლის 1-ლ იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის:		
ა) ძირითადი საშუალებ. მომქმედი	942733—71	902245—4
ბ) ძირითადი საშუალ. უმოქმედო	17274—27	17274—27
სულ	960007—98	[illegible]1519—67
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მოხმარებითი მნიშვნელობით	344967—87	389640—61
3. ანგარიშსწორება მშენებლობასთან	—	1231—26
4. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	150917—30	121800—98
5. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევ. ფაბრ.	85555—52	—
6. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	156440—20	3[illegible]0141—67
7. ფულადი საშუალებანი	8894—01	29[illegible]0—38
8. დებიტორები	82594—01	755[illegible]0—38
9. მომავალი პერიოდის ხარჯები	69121—19	214446—48
10. შედეგი: ზარალი საანგარიშგებო წლისა	174083—40	—
ბალანსი	1992831—48	2165322—15

პასივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. საწესდებო ფონდი	1598[illegible]05—36	1502[illegible]44—42
2. საამორტიზაციო ფონდი	180069—82	102746—50
3. სპეცფონდები	8651—81	34578—81
4. რეზერვები	25008—34	120631—28
5. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტი	25000—00	525000—00
6. კრედიტორები	182596—15	282931—23
7. შედეგი: მოგება საანგარიშგებო წლისა	—	119339—86
ბალანსი	1992831—48	2165322—15

დირექტორი: **სირაძე** მთ. ბუღალტერი: **ა. მაისურაძე**

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. სახკომისარიატის სპეცკომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისრის მიერ და ნება დართულია გამოსაქვეყნებლად. საქ. ადგ. მრეწვ. სახკომატის მთ. ბუღალტერი: **ჯანელიძე.**

სრულიად საქართვ. სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „ლეგტრანსპორტის" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	13.240—46
2	კაპიტალური დაბანდებანი	1.945—33
3	საწარმოო მარაგები	29.086—95
4	ფულადი საშუალებანი	17.283—82
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	2.412—92
6	განყენებული საშუალებანი	13.297—89
7	დანაკარგები	6.879—62
	ბალანსი	84.146—99

№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	65.001—02
2	მიზნობრივი რეზერვები	283—10
3	ანგარიშსწორებანი	18.862—87
	ბალანსი	84.146—99

არტელის თავ-რე **ჯანგოევი;** მთავ. ბუღალტერი **ზედ[illegible]შვილი.**
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1629

სრულიად საქართვ. სარეწაო კავშირის სისტემის არტელის „კვების კომბინატის" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1-ლ იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება	თანხა ათას მანეთებში
1	ძირითადი საშუალებანი	124,9
2	საწარმოო მარაგები	36,2
3	ფულადი საშუალებანი	12,5
4	საშუალებები ანგარიშსწორებებში	37,2
5	განყენებული საშუალებანი	32,3
6	დანაკარგები	1,5
	ბალანსი	244,6

№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება	თანხა ათას მანეთებში
1	ფონდები	202,3
2	მრეგულირებული მუხლები	4,3
3	გრძელვადიანი კრედიტები	16,9
4	ანგარიშსწორებანი	19,2
5	დავალიანებანი	1,9
	ბალანსი	244,6

არტელის თავ-რე: **მიხეილ წულაია** მთ. ბუღალტერი: **გიორგი მიხანაშვილი**
დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ. 1625

სრულიად საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „კახ-იმერი" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება	თანხა ათას მან-ში
1	ძირითადი საშუალებანი	133,2
2	მზანაწარმი	348,1
3	საწარმოო მარაგები	430,3
4	ფულადი საშუალებანი	173,7
5	საშუალებები ანგარიშსწორებებში	193,3
6	მომავალი დროის ხარჯები	9,1
7	განყენებული საშუალებანი	19,2
	ბალანსი	1.346,9

№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება	თანხა ათას მან-ში
1	ფონდები	769,3
2	მიზნობრივი რეზერვები	41,8
3	მრეგულირებელი მუხლები	16,0
4	გრძელვადიანი კრედიტები	43,3
5	მოკლე ვადიანი კრედიტები	140,0
6	ანგარიშსწორებანი	270,2
7	დავალიანებანი	66,3
	ბალანსი	1.346,9

არტელის თავმჯდომარე **ანდრიაშვილი.** მთავ. ბუღალტერი **მუმლაძე.**
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1605

სრულიად საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელის „ბენვეურქის" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1-ლ იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	191.144—70
2	საწარმოო მარაგი	371.619—06
3	წარმოება და გადამუშავება	91.860—12
4	პროდუქცია სარეწაო-სისტემისა და საქონელი	164.353—70
5	ფულადი საშუალებანი	8.897—40
6	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	18.478—69
7	ხარჯები მომავალი დროისა	24.139—92
8	განზიდული საშუალებანი	201.941—15
	ბალანსი	1.072.4[illegible]4—74

№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	822.040—58
2	მიზნობრივი რეზერვები	1.602—48
3	გრძელვადიანი კრედიტები	22.7[illegible]8—
4	ანგარიშსწორებანი	25[illegible].033—66
5	დავალიანებანი	441.080—07
	ბალანსი	1.072.435—74

არტელის თავ-რე: **ს. გოზალოვი** მთ. ბუღალტერი **შ. გონაშვილი**
დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ. 679

ბალანსი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის აბრეშუმის სამმართველოს მომარაგება-გასაღების კანტორის 1936 წლის 1 იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლის 1 იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წ. 1 იანვრისათვის,	1936 წ. 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის:		
ა) ძირითადი საშუალებანი მომქმედი	62556—97	81025—5
2. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში		685861—84
3. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	724226—93	1812215—31
4. ფულადი საშუალებანი	15841—09	445611—0
5. დებიტორები	698863—92	464013—22
6. მომავალი პერიოდის ხარჯები	72731—96	53850—2
7. გამოყოფილი საშუალებანი	1071178—44	316626—34
ბალანსი	2644894—31	3809234—22

პასივი	1935 წ. 1 იანვრისათვის	1935 წ. 1 იანვრისათვის
1. საწესდებო ფონდი	293833—28	398335—77
2. საამორტიზაციო ფონდი	168—5	4237—00
3. სპეცფონდები	2175—00	5160—95
4. რეზერვები	229101—10	43145—10
5. გრძელვადიანი კრედიტები	212886—00	—
6. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტი	685000—00	1308000—00
7. კრედიტორები	639993—78	621703—81
8. შედეგი		
ა) მოგება საანგარიშგებო წლისა	631736—65	1428591—80
ბალანსი	2644894—31	3809234—22

მომარაგება-გასაღების კანტორის უფროსი **ვ. მანჯგალაძე.** მთ. ბუღალტერი: **ნ. ჩომახიძე.**
ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეცკომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნება დართულია გამოსაქვეყნებლად.
1570 საქ. ადგ. მრეწვ სახკომ. მთ. ბუღალტერი: **ჯანელიძე.**

მისამართები: რედაქციის—ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

[illegible] სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული შ—3528